ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2763003

ნომერი: AR1424043

თარიღი : 19.07.2016

გაცემის თარიღი : 08.08.2016

გაცნობის თარიღი : 08.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/62) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა გელაშვილი პ/ნ 01024058743
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 63 ბ. 95

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 22 თებერვლის №01/432 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 19 ივლისს №AR1424043 განაცხადით მომართა შალვა გელაშვილმა და ამავე სამსახურის 2012 წლის 22 თებერვლის №01/432 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 22 თებერვლის №01/432 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ, შპს „კ.ი.დ.-ის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის სექტორი 2, ბლოკი 2, მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2012 წლის 22 თებერვლის №01/432 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეცდომითაა დაფიქსირებული საერთო ფართი, კომერციული ფართი, საცხოვრებელი ფართი, საზაფხულო ფართი და სადარბაზოს ფართი. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და საერთო ფართი ნაცვლად 5713.73-ისა დაფიქსირდეს 5680.51 კვ.მ, კომერციულ ფართი ნაცვლად 1055.40-ისა დაფიქსირდეს 1012.5 კვ.მ, საცხოვრებელ ფართში ნაცვლად 3749.29-ისა დაფიქსირდეს 3771.2 კვ.მ, საზაფხულო ფართი ნაცვლად 375.65-ისა დაფიქსირდეს 456.3 კვ.მ, სადარბაზოს ფართი ნაცვლად 449.29-ისა დაფიქსირდეს 440.3 კვ.მ.

სამსახურმა 2012 წლის 22 თებერვლის №01/432 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტის და განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი, კომერციული ფართის, საცხოვრებელი ფართის, საზაფხულო ფართისა და სადარბაზოს ფართის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, ხოლო საერთო ფართის შესწორებული მაჩვენებლი შეადგენს 5680.30 კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 22 თებერვლის №01/432 ბრძანებაში, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართი: 5680.30 კვ.მ, კომერციული ფართი: 1012.5 კვ.მ, საცხოვრებელი ფართი: 3771.2 კვ.მ, საზაფხულო ფართი: 456.3 კვ.მ, სადარბაზოს ფართი: 440.3 კვ.მ.
სამსახურის 2012 წლის 22 თებერვლის №01/432 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 22 თებერვლის №01/432 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.